საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის

ბრძანება №2-789

2025 წლის 25 დეკემბერი

ქ. თბილისი

„ადგილობრივ სამომხმარებლო ბაზარზე ჩამოსასხმელი ღვინის რეალიზაციის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2018 წლის 24 დეკემბრის №2-1036 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, **ვბრძანებ:**

მუხლი 1

„ადგილობრივ სამომხმარებლო ბაზარზე ჩამოსასხმელი ღვინის რეალიზაციის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2018 წლის 24 დეკემბრის №2-1036 ბრძანებაში (www.matsne.gov.ge, გამოქვეყნების თარიღი: 25/12/2018, სარეგისტრაციო კოდი: 340050000.22.023.016559) შეტანილ იქნეს ცვლილება და ბრძანების პირველი მუხლით დამტკიცებული „ადგილობრივ სამომხმარებლო ბაზარზე ჩამოსასხმელი ღვინის რეალიზაციის წესის“ მე-3 მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. ღვინის მწარმოებელი კომპანია და ბითუმად მოვაჭრე, ღვინის რეალიზაციისას ვალდებულნი არიან საცალოდ მოვაჭრეს გადასცენ ღვინის თანმხლები დოკუმენტები.“.

მუხლი 2

ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს გარემოს დაცვისა და
სოფლის მეურნეობის მინისტრი **დავით სონღულაშვილი**